# ტექნიკური დავალება

## ტყის აღდგენითი სამუშაოები (ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა) 14,49 ჰა-ზე

ხულოს სატყეო ადმინისტრაციის ზეგნის სატყეოს  უბანი “გოდერძი”

## 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურების, კერძოდ, ტყის აღდგენითი სამუშაოების (ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა) შესყიდვა სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოსთვის დაქვემდებარებულ 14,49 ჰექტარ ტერიტორიაზე, ხულოს სატყეო ადმინისტრაციის ზეგნის სატყეოს უბანზე "გოდერძი".

## 2. სამუშაოს აღწერა, შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

**2.1.** სუბალპური ტყის ზედა საზღვრის შენარჩუნების, ბუნებრივი თვითგანახლებისა და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობის, ასევე ეროზიული პროცესების შეჩერების მიზნით დაგეგმილი სუბალპური ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიება მოიცავს შეღობვა-აჩიჩქვნა-მოთესვა-გაწმენდის სამუშაოებს 14,49 ჰექტარ ფართობზე, მათ შორის:

- **ტერიტორის შეღობვა:** სამუშაო ხორციელდება აღსადგენი ფართობის საქონლისაგან დაცვის მიზნით, რომელიც ანადგურებს მოზარდ-აღმონაცენს, ასევე იწვევს ნიადაგის დაკორდებასა და მისი სტრუქტურის გაუარესებას. შეღობვა უნდა განხორციელდეს 14,49 ჰა-ზე ხის ბოძებისა და ეკლიანი მავთულის შემოვლებით. შესაღობად გამოყენებული უნდა იყოს აკაციის ან, წინასწარი შეთანხმებით, სხვა, ალტერნატიული ხის ბოძები, დიამეტრით 8-დან 12 სმ-მდე, სიმაღლით 2 მ, რომლის 0.5 მ. ნიადაგის სიღრმეში უნდა ჩამაგრდეს მყარად. ბოძები უნდა განლაგდეს ერთმანეთისგან 2 მ. მანძილზე დაშორებით. ბოძებზე უნდა გადაიჭიმოს 2*2 მმ ზომის (მოთუთიებული) ეკლიანი მავთული 5 მწკრივად. ბოძებზე მავთულის მისამაგრებლად გათვალისწინებულია 70 მმ ლურსმანი.
- **ნიადაგის აჩიჩქვნა და მოთესვა:** სამუშაო ხორციელდება ხეებიდან ჩამოცვენილი თესლების ნიადაგში მოხვედრისა და აღმოცენების ბუნებრივი ხელისშემშლელი ფაქტორის შემცირების მიზნით, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ტერიტორიების უმეტესობა დაფარულია უხეში, მკვდარი საფარით და მოითხოვს აღნიშნული მკვდარი საფარის დარღვევას. ამ მიზნით, უნდა შეირჩეს მსხმოიარე ხეები და მათ მიმდებარედ უნდა განხორციელდეს ნიადაგის აჩიჩქვნა ბაქნებად ან/და ფერდობის პარალელურ ზოლებად. ნიადაგის აჩიჩქვნა უნდა განხორციელდეს მისი ზედაპირის მინიმუმ 10 სმ-ზე გაფხვიერებით 2 ჰა ფართობზე.
- **ფართობის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება:** სამუშაო ხორციელდება 0,5 ჰა-ზე ტყის სწრაფად აღდგენისა და სუბალპური ზოლის დაცვის გაუმჯობესების მიზნით. საქმიანობა გულისხმობს ტერიტორიის გაწმენდას ბუჩქების, სარეველების, ეკალ-ბარდისა და ჩახერგილი ხე-ტყისგან. ფართობის გაწმენდა უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით, რომ არ დაზიანდეს მათ შორის არსებული მოზარდ-აღმონაცენი. მოჭრილი მასა უნდა შეგროვდეს, დაიხურგოს ან გამოტანილი იქნას ფართობიდან სატყეო ადმინისტრაციის მიერ მითითებულ ადგილზე.

**2.2 დამატებითი გარემოებები:**

- ტყიან რელიეფზე, ნიადაგში არსებული ფესვების, ქვების, კლდოვანი შვერილების, ნაფენების, დიდხნოვანი ხეების, ხეთა ჯგუფების და სხვა ფაქტორების გამო, ხშირად ვერ ხერხდება 2 მეტრის დაშორებით ბოძების ჩამაგრება. ამიტომ შესაძლებელია ბოძებს შორის დისტანციის შემცირება ან გაზრდა. ასევე, აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ღობის განლაგების ადგილ-ადგილ მცირედი გადახრა (საჭიროების შემთხვევაში დაახლოებით 5 მეტრის ფარგლებში), რაც უნდა მოხდეს მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ურთიერთშეთანხმებით და საერთო ფართობის შეუცვლელად.

- შემოღობვა იწარმოებს დანართი №4-ში მითითებული ესკიზების მიხედვით (ღობის/გადასასვლელი კიბის ესკიზები).
- შემოღობვა განხორციელდება ისეთნაირად, რომ ზამთრის პერიოდში შესაძლებელი იყოს მავთულის დაშვება/მოხსნა; პირველ წელიწადს მავთულის დაშვების/მოხსნის ღონისძიება შეადგენს კონტრაქტორის პასუხისმგებლობას და განხორციელდება 2026 წლის შემოდგომაზე, კლიმატური პირობებიდან გამომდინარე შეთანხმებულ ვადაში (ზამთრის სეზონის დაწყებამდე).
- შესყიდვის ობიექტის დეტალური ჩამონათვალი, აღწერილობა და მოცულობები მოცემულია შესყიდვის ობიექტის ფასების (ხარჯთაღრიცხვა) ცხრილში (იხ. დანართი №1).
- შესყიდვის ობიექტის ფასების (ხარჯთაღრიცხვა) ცხრილის და ობიექტის აღწერის (ტექნიკური დავალება)  იმ ნაწილში, სადაც მოცემული იქნება შესასყიდი საქონლის ან/და მასალების ან/და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან/და მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური.“

## 3. ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

შესყიდვის ობიექტის ფასების შესავსები ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) იხილეთ დანართი №1-ში.

## 4. სამუშაოს შესრულების ვადა (გეგმა-გრაფიკი)

- სუბალპური ტყის მასივების აღდგენის ხელშემწყობი ღონისძიებების პირობები წინასწარ არის შეთანხმებული აჭარის სატყეო სააგენტოსთან და განხორციელდება მათი წარმომადგენლების უშუალო ზედამხედველობით, მომსახურებების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, 3 (სამ) ეტაპად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
- ინფორმაცია მომსახურებების (ტყის ბუნებრივი განახლება) შესრულების დეტალური ვადების შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას შემსყიდველის მიერ გეგმა-გრაფიკის სახით, დანართ №2-ში მოცემული შაბლონის შევსების გზით, ამავე პუნქტში განსაზღვრული საბოლოო ვადის დაცვით (არა უგვიანეს 2026 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით).
- შემსყიდველთან შეთანხმებით მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადამდე ადრე ჩააბაროს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება/სამუშაო.

## 5.  სამუშაოს შესრულების ადგილი

სამუშაოს შესრულების ადგილი: ხულოს  სატყეო ადმინისტრაციის ზეგნის სატყეოს უბანი ,,გოდერძი'', კვარტალ №9, ლიტერ(ებ)ი № 2, 3, 7, 8, 24 და 25

**შესაღობია 2,250 გრძ. მეტრი** (იხ. რუქა - დანართი №3)

## 6. შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა

- პრეტენდენტი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის მოწოდების დასრულების შემდეგ არ გამოვლინდება დეფექტები.
- რაიმე ნაკლის/დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია, შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

- ტენდერში გამარჯვებულის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების/ზიანის ანაზღაურება, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ან შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით.

## 7. პრეტენდენტის გამოცდილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი პორტფოლიო, რომელიც უნდა მოიცავდეს ძირითად ინფორმაციას უკვე განხორციელებულ რელევანტურ მომსახურებებზე: დამკვეთი, ხელშეკრულების განხორციელების პერიოდი, ხელშეკრულების ჯამური თანხა, ხელშეკრულების საგანი.

შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია.

## 8. წინადადების წარდგენის ვადა და წარსადგენი დოკუმენტაცია

დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა გთხოვთ, წინადადება გამოგზავნოთ არაუგვიანეს **17 აგვისტო, 2026 წელი (00:00 საათამდე)**, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: tenders@cenn.org (გთხოვთ, დანიშნულებაში მიუთითოთ: **ტენდერი ტყის აღდგენით სამუშაოებზე**). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წამოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

***წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:***

- შევსებული ფასების (ხარჯთაღრიცხვა) ცხრილი (დანართი №1) - წინამდებარე ტექნიკური დავალების დანართის შესაბამისად, ფასი ლარში (დღგ-ს გარეშე), უფლებამოსილი პირის ხელმოწერით/ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული;
- შევსებული სამუშაოს შესრულების გეგმა/გრაფიკი (დანართი №2) უფლებამოსილი პირის ხელმოწერით/ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული;
- განახლებული, 2026 წლის, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- გამოცდილების დამადასტურებელი პორტფოლიო.

## 9. განაცხადის შეფასება

**განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:**

პრეტენდენტის გამოცდილება - 40%

სამუშაოს ღირებულება - 40%

სამუშაოს შესრულების ვადა - 10%

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებასთან შესაბამისობა - 10%